ვანის მუნიციპალიტეტის გამგეობის საკონკურსო კომისიის სხდომის

ოქმი №1

ქ. ვანი 27 ...ივლისი 2015 წელი

საკონკურსო კომისიის სხდომას ესწრებოდნენ:

ვარლამ შარაშენიძე - ვანის მუნიციპალიტეტის გამგებლის მოადგილე, კომისიის თავმჯდომარე.
მამუკა ნამიჭეიშვილი- გამგეობის ინფრასტრუქტურის, ტრანსპორტის და კეთილმოწყობის სამსახურის უფროსი, წევრი.
გიორგი ნამიჭეიშვილი - საფინანსო–საბიუჯეტო სამსახურის უფროსი, წევრი.
ბესარიონ ახვლედიანი - გამგეობის ზედამხედველობისა და არქიტექტურის სამსახურის უფროსი, წევრი.
დავით გაბუნია - გამგეობის ადმინისტრაციული სამსახურის უფროსი.
ვანდა გიორგაძე- საფინანსო–საბიუჯეტო სამსახურის სახელმწიფო შესყიდვებისა და მატერიალური უზრუნველყოფის განყოფილების უფროსი, აპარატის წევრი.
მარინა ღვინიანიძე - ადმინისტრაციული სამსახურის იურიდიული განყოფილების უფროსის მოვალეობის შემსრულებელი, აპარატის წევრი-მდივანი.

დღის წესრიგი:

ვანის მუნიციპალიტეტის მიერ კონკურსის მეშვეობით შესყიდვის ობიექტების:

- *ქ. ვანში გივი ყიფიანის სახელობის პარკთან მისასვლელ გზაზე ცემენტობეტონის საფარის დაგება/0.5კმ/*
- *რუსთაველის ქუჩაზე ავტოსადგურის მიმდებარე ტერიტორიაზე ბაზრის სამხრეთით საავტომობილო გზაზე ასფალტბეტონის მავი საფარის მოწყობა*
- *ქ. ვანში ცენტრალური ბიბლიოთეკის მისასვლელი გზისა და მიმდებარე ტერიტორიის კეთილმოწყობა*
- *ციხესულორის თემში კორძაძეების უბანში (ვრიმა ბელთაძე) საუბნო საავტომობილო გზის აღმართზე ბეტონის გზის დაგება 0,2კმ*
- *რუსთაველის ქუჩის მეორე შესახვევში რკინაბეტონის კიუვეტის და ბეტონის გზის მოწყობა*
- *რომანეთი–ძულუბის საზღვარზე ხიდის მშენებლობა(გაბარიტი 3,2მ, სიგრძე 12მ, თვითამწეობა 10ტ)*
- *დიხამზოს თემში რამაზი ბაგნიძის სახლთან მდ. ბონკოზე არსებულ ბურჯებზე ხიდის სავალი ნაწილის მოწყობა(სიგრძე 4მ გაბარიტი 3,2მ თვითამწეობა 10ტ)*
- *დიხამზოს თემში მდინარე სულორზე ფეხით გადასასვლელის ხიდის აღდგენა*
- *ქ. ვანში მდ. სულორის მარჯვენა სანაპიროსთან გაბიონის მოწყობა/ზაური აბრამიძის და ზურაბ მამასახლისის საკარმიდამო ნაკვეთის მიმდებარედ/*
- *ქ. ვანში 26 მაისის და საკაძის ქუჩების გადაკვეთიდან ტაბიძის სკოლამდე რკ/ბეტონის კიუვეტის მოწყობა*
- *ქ. ვანში მიხეილ ჩუგნაძის ქუჩის დასაწყისში რკინა–ბეტონის კიუვეტის მოწყობა*

შესასრულებელ სამუშაოებზე საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენის მომსახურების შესყიდვის საკონკურსო განცხადებისა და საკონკურსო დოკუმენტაციის დამტკიცების შესახებ.

მოისმინეს: საკონკურსო კომისიის წევრის მამუკა ნამიჭეიშვილის გამოსვლა, რომელმაც სხდომას დასამტკიცებლად წარუდგინა კონკურსის საშუალებით საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენის მომსახურების შესყიდვის შესახებ საკონკურსო განცხადებისა და საკონკურსო დოკუმენტაციის პროექტი.

საკონკურსო კომისიის წევრებმა მოიწონეს და დადებითად შეაფასეს კონკურსის ჩატარების შესახებ საკონკურსო განცხადებისა და საკონკურსო დოკუმენტაციის პროექტი.

დაადგინეს:

1) დამტკიცდეს საკონკურსო კომისიის მიერ საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენის მომსახურების სახელმწიფო შესყიდვის წარმოდგენილი განცხადებისა და საკონკურსო დოკუმენტაციის პროექტი.
დაევალოს საკონკურსო აპარატს ,,კონკურსის მეშვეობით საპროექტო მომსახურების სახელმწიფო შესყიდვების პირობებისა და წესის დამტკიცების თაობაზე" სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავჯდომარის 2011 წლის 10 თებერვლის N3 ბრძანებით დამტკიცებული ,,კონკურსის მეშვეობით საპროექტო მომსახურების სახელმწიფო შესყიდვის პირობების და წესის მე-5 მუხლის შესაბამისად უზრუნველყოს საკონკურსო განცხადების გამოქვეყნების ოფიციალური მოთხოვნის და კონკურსის ჩატარების შესახებ განცხადების წარდგენა სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოში ელექტრონული ფოსტის მეშვეობით, რომელიც გამოქვეყნდება სააგენტოს ოფიციალურ ვებ-გვერდზე.

კომისიის თავმჯდომარე: ვარლამ შარაშენიძე

კომისიის წევრები:

1. მამუკა ნამიჭეიშვილი
2. ბესარიონ ახვლედიანი
3. გიორგი ნამიჭეიშვილი
4. დავით გაბუნია

აპარატის წევრები:

1. ვანდა გიორგაძე
2. მარინა ღვინიანიძე